ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5091990

ნომერი: AR1770281

თარიღი : 31.08.2020

გაცემის თარიღი : 04.09.2020

გაცნობის თარიღი : 11.09.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძის , N 50;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზეზვა ჯაიანი პ/ნ 61001023060
- ხელვაჩაური ს. შარაბიძეები მე–8 III ჩიხი N 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1770281 განცხადებაზე № 5086147 და № 5090211 გადაწყვეტილებებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

- "კორექტირებული ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - როგორც არსებულ ფოტოზე, ისე ფოტომონტაჟზე კონტურის სახით მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ფართი შესაბამისი გაბარიტული ზომებით, რათა გადამოწმდეს სარეკლამო აბრის პროცენტულობა. შეტყობინებით უფრო დეტალურად იქნა განმარტებული, თუმცა მაინც არ გაასწორეთ. კიდევ ერთხელ გწერთ რაც შეტყობინებით იქნა მოწერილი: სარეკონსტრუქციო ფართში იგულისხმება არა ბანერის განთავსების ადგილი, არამედ მთლიანი ფასადი, რომელიც თქვენს სარგებლობაშია. მთლიანი ფასადიდან (ანუ სარგებლობაში არსებული სარეკონსტრუქციო ფართის ფასადიდან) ითვლება საინფორმაციო აბრის პროცენტულობა. ე.ი. არსებულ ფოტოზე და ფოტომონტაჟზეც უნდა დაიტანოთ თქვენს სარგებლობაში არსებული სარეკონსტრუქციო ფართის ფასადის გაბარიტული ზომები (სიგრძე, სიგანე). გარდა ამისა ფოტომონტაჟზე უნდა დაიტანოთ სარეკლამო აბრის გაბარიტული ზომებიც, სარეკლამო აბრის ზომაში უნდა გაითვალისწინოთ მთლიანად კონსრუქციაც (შავი ფერის), რაზეც არის დაკრული წარწერები.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.